# სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტი

Legal entity of public law-Gori Teaching University

## ბრძანება№ 1-57

ქ. გორი                                                                 08.12. 2011წ.

**სსიპ – გორის სასწავლო უნივერსიტეტში პრეზიდენტის სტიპენდიის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 ოქტომბრის #27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 05 დეკემბრის №833 ბრძანების საფუძველზე

## ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტში პრეზიდენტის სტიპენდიის განაწილების წესი დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის გამგეს დაევალოს ეს ბრძანება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 01 აპრილის N2-77 ბრძანება;

4. ეს ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორჩენაძის №30).

რექტორი                                                                 გიორგი სოსიაშვილი

# სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში პრეზიდენტის სტიპენდიის განაწილების

# წესი

## მუხლი I ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი აწესრიგებს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან წარჩინებული ბაკალავრიატის სტუდენტების სტიპენდიებისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებას სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში.

2. აღნიშნული სტიპენდიის ობიექტურად განაწილების მიზნით სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში რექტორის ბრძანებით იქმნება „სტიპენდიის განმანაწილებელი კომისია" რომელიც უნდა შედგებოდეს სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებისაგან, 5 სტუდენტისგან, თანაბარი რაოდენობით ფაკულტეტებიდან და კომისიის სხვა წევრებისაგან.

3. იმ შემთხვევაში თუ კომისიის შემადგენლობაში მყოფი სტუდენტი აკმაყოფილებს სტიპენდიის გაცემისათვის ამ წესით დადგენილ კრიტერიუმებს აღნიშნული კომისიის წევრი კარგავს კენჭის ყრაში მონაწილეობის უფლებას.

## მუხლი II კომისიის მიზნები, ფუნქციები, საქმიანობის წესი

1. კომისიის მიზანია:

ა) პრეზიდენტის სტიპენდიანტობის კანდიდატების გამოვლენა ამ წესის შესაბამისად.

ბ) შერჩეული კანდიდატების მონაცემების რექტორისათვის წარდგენა.

გ) საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. ფაკულტეტების დეკანები საკუთარი ფაკულტეტებიდან კომისიას წარუდგენენ სტიპენდიანტების იმ კანდიდატურებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

3. კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტიპენდიანტობის კანდიდატების მონაცემების შესაბამისობასთან დაკავშირებით ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

4. კომისია შერჩეული კანდიდატების მონაცემებს 3 დღის ვადაში გადასცემს სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს.

5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

6. კომისიის წევრებზე რაიმე სახის ზეწოლა ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით დაუშვებელია.

## მუხლი III სტიპენდიების განაწილების კრიტერიუმი

1. სტიპენდიით დაფინანსების უფლების მქონე პირებად ჩაითვლებიან ის სტუდენტები რომლებმაც გასულ სემესტრში აითვისეს აკადემიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და თითოეულ სასწავლო კურსში მიიღეს შეფასება, არანაკლებ 91 ქულისა;
2. სტიპენდიით დაფინანსების უფლების მქონე პირებიდან სტიპენდიანტების შერჩევა და მათზე სტიპენდიების გაცემა მოხდება გასული სემესტრის აკადემიური მიღწევების საშუალო ქულის, სტუდენტთა კონფერენციებში მოპოვებული წარმატებების და სამეცნიერო პუბლიკაციების შესაბამისი სარეიტინგო ქულების ჯამით, რომლებიც განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა გამოითვლება თანაფარდობით:

$$\text{საშუალო ქულა} = \frac{X_1 \cdot Y_1 + X_2 \cdot Y_2 - X_3 \cdot Y_3 + X_4 \cdot Y_4 \ldots + X_n \cdot Y_n}{X_1 \; X_2 - X_3 - X_4 \ldots - X_n}$$

სადაც X არის სტუდენტის მიერ ჩაბარებული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა, Y - მიღებული ქულა, n ჩაბარებული სასწავლო კურსების რაოდენობა.

ბ) სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, რაც დასტურდება მოხსენების წარდგენის შედეგად მოპოვებული სერტიფიკატით (სიგელით, დიპლომი და სხვა) ან სამეცნიერო პუბლიკაცია სამეცნიერო-კვლევით ჟურნალში ან შრომათა კრებულში შეფასდება
10 ქულით;

გ) სხვა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, რაც დასტურდება მოხსენების წარდგენის შედეგად მოპოვებული სერტიფიკატით (სიგელი, დიპლომი და სხვა) შეფასდება 5 ქულით, ხოლო საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში:

III ადგილი - 7 ქულით;
II ადგილი - 8 ქულით;
I ადგილი - 9 ქულით;

3. დამატებით კრიტერიუმებად მიიჩნევა:
ა) სოციალურად დაუცველობა ან დევნილობა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ბ) აქტიური მონაწილეობა საუნივერსიტეტო ინტელექტუალურ, შემოქმედებით, კულტურულ ან სპორტულ ღონისძიებებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერთიფიკატით (სიგელით, დიპლომით);

## მუხლი IV. სტიპენდიის დანიშვნა

1. გადაწყვეტილებას სტიპენდიის დანიშვნის შესახებ ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით იღებს უნივერსიტეტის რექტორი, რაც ფორმდება შესაბამისი ბრძანებით.

## მუხლი V სტიპენდიის შეწყვეტა

1. სსიპ-გორის უნივერსიტეტიდან სტიპენდიით მოსარგებლე სტუდენტის ამორიცხვის, გარიცხვისას ან სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას სტიპენდიის გაცემა წყდება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებულ შემთხვევაში სსიპ-გორის უნივერსიტეტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტებისათვის, სტიპენდიის სახით დანიშვნის შესახებ.